

**თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემიის საუნივერსიტეტო უწყვეტი
განათლების განვითარების სტრატეგია**

2015-2018

შემუშავებულია : TEMPUS -ის საგრანტო (544251-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPHES) პროექტისათვის SSRULLI (უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება) ფარგლებში.

თბილისი 2014

შესავალი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მონაწილეა TEMPUS-ის საგრანტო (544251-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPHES) პროექტის-SSRULLI (უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება), რომელიც გულისხმობს საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნას და განვითარებას.

ცენტრის დანიშნულებაა კვლევაზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება. პროგრამები გათვალისწინებულია როგორც შიდა საუნივერსიტეტო (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები) ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

ხედვა

თსსა-ს უწყვეტი განათლების ცენტრი მოწოდებულია აკადემიის საგანმანათლებლო რესურსებზე დაყრდნობით გახდეს წამყვანი სასწავლო ცენტრი ხელოვნების სფეროში.

მისია

შესთავაზოს საზოგადოებას კურსების ფართო სპექტრი; შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მსმენელებს მისცეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი პროფესიის შეძენის საშუალება.

თსს აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაატაროს მაღალი ხარისხის სახელოვნებო კურსები მოყვარულთათვის, რაც ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ამოცანები

- სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზება;
- თსს აკადემიის რესურსის გათვალისწინებით ფართო საზოგადოებისთვის სხვადასხვა სახელოვნებო კურსის დაგეგმვა და განხორციელება.
- უცხოენოვანი პროგრამების მომზადება;
- აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრში ინკლუზიური სწავლების დანერგვა, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნარშეზღუდული პირების განვითარებაში, დასაქმებასა და სოციალურ ინტეგრაციაში.
- სხვადასხვა სფეროში სასერტიფიკატო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების განხორციელება;
- პარტნიორული ურთიერთობის გაფართოვება როგორც ქვეყნის შიდა ასევე საერთაშორისო დონეზე.
- თსს აკადემიის უწყვეტი განათლების ცენტრის პოპულარიზაცია;
- გრძელვადიანი პერსპექტივა:
 - ცენტრის ბაზაზე საზაფხულო სკოლის შექმნა;
 - ელექტრონული სწავლების განვითარება.

სამოქმედო გეგმა

- უწყვეტი განათლების ცენტრის უნივერსიტეტის მისიაში ასახვა და მისი ადგილის განსაზღვრა საუნივერსიტეტო სივრცეში.
- შრომის ბაზრის კვლევა და მოთხოვნადი პროგრამების შემუშავება აკადემიის ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- განხორციელებული პროგრამების პერიოდული ანალიზი და შეფასება მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- ცენტრის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიის წარმოება;
- დამატებითი ფინანსების მოძიება;
- ცენტრის განვითარების მიზნით თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან და ა.შ.

მოსალოდნელი შედეგები

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პოპულარიზაცია.
- ფართო საზოგადოების დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- პროფესიონალი კადრის დასაქმება.
- სტუდენტების დახმარება პროფორიენტაციასა და პროფესიულ ზრდაში.
- თსს აკადემიისთვის დამატებითი შემოსავალი.

სტრატეგიის შექმნისას გამოყენებული დოკუმენტები:

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა“ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ირინე დარჩია, თბილისი 2009;
European Universities' Charter on Lifelong Learning, EUA, Brussels 2008;
Engaging in Lifelong Learning :Shaping Inclusive and Responsive University Strategies, Hanne Smidt, Andree Sursock, EUA, Brussels, 2011;